MES 8 23 0000269263

07/03/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი,
საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის“ მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი. საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია
მარიამ შურღაია - სკოლის აკადემიური დირექტორი
მადონა ღიბრაძე - სკოლის იურისტი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია
დეკანოზი მირიანი (მერაბ ფირცხალაიშვილი) - სკოლის დირექტორი

შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვები
მაია ალანია - სკოლის დირექტორი
სალომე ოსეფაშვილი - დაწესებულების იურისტი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტ ები):

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია
გულნარა ხაბურზანია
თამარ ჩხიკვაძე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია
მაკა ჭიაბერაშვილი
ლია გრიგოლია

შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვები
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 23 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოსწევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, გულნარა ხაბურზანიამ და თამარ ჩხიკვაძემ.

ექსპერტმა თამარ ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 17 და 18 იანვარს.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მან განაცხადა, რომ შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობდნენ შემეცნებით და საგანმანათლებლო ტურებში ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, მათ შორის გაეროს მოდელირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, ბირმინჰემის ბროდვეის ჯუნიორის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო სკოლების სპორტულ და აკადემიურ ღონისძიებებში და სხვა. ბრიტანულ ქართული აკადემია ერთადერთი სკოლა იყო საქართველოში, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობდა უნივერსიტეტებისა და დამსაქმებლების მიერ საერთაშორისოდ აღიარებულ, პრესტიჟულ პროგრამას ედინბურგის ჰერცოგის ჯილდოს.

ექსპერტის განცხადებით, სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ მათ მიერვე ინიცირებულ კამპანიებში - გარემოს დაცვის, განათლების ხელმისაწვდომობისა და სკოლებში ბულინგის წინააღმდეგ; საქველმოქმედო ღონისძიებებში ადგილობრივი ბავშვთა სახლებისა და მოხუცთა თავშესაფრების დასახმარებლად და სხვა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა პასტორალური ზრუნვის პროგრამა, რაც გულისხმობდა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას. ექსპერტის განმარტებით, პასტორალური ზრუნვის სისტემა ხელს უწყობდა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, პოზიტიური ქცევის წახალისებასა და აკადემიის ძირითადი ღირებულებების განმტკიცებას. აკადემიის პასტორალური ზრუნვის პროგრამას უძღვებოდნენ საფეხურების ხელმძღვანელები, ინდივიდუალური კლასების მენტორები და სკოლის ფსიქოლოგი. ექსპერტრის განმარტებით, ჰაუსების სისტემა - ბრიტანული სკოლის ტრადიციული მოდელი იყო, რომელიც ყველა საფეხურის მოსწავლეს სხვადასხვა ჰაუსგუნდში ანაწილებდა. თითოეული ჰაუსგუნდის მოსწავლეები გუნდურად მონაწილეობდნენ სპორტულ და სხვა ტიპის მეგობრულ შეჯიბრებებში. ჰაუსური ღონისძიებები განსაკუთრებული სახალისო შესაძლებლობა იყო იმისთვის, რომ განსხვავებული ასაკის მოსწავლეებს ერთად ემუშავათ, ესწავლათ ერთმანეთისგან და ეზრუნათ ერთმანეთზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სასკოლო საზოგადოების ერთიანობის განმტკიცებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები აკადემიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სურვილის შემთხვევაში, მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ აკადემიის ბაზაზე დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას, რაც მათ გაუმარტივებდათ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პროცესს.

ექსპერტმა ისაუბრა პირველ სტანდარტთან (საგანმანათლებლო პროგრამები) გაცემული რეკომენდაციების თაობაზე. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 19 აგვისტოს 93/ნ ბრძანების მიხედვით X კლასის საათობრივ ბადეში შემოტანილი იყო 2 პროექტი, ერთი სამოქალაქო განათლებაში და მეორე სახელოვნებო ბლოკში. ამ ბლოკიდან მოსწავლეს მე-10 კლასში ორი პროექტიდან უნდა აერჩია ერთ-ერთი პროექტი: ან სახვით და გამოყენებით

ხელოვნებაში, ან მუსიკაში. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სასკოლო სასწავლო გეგმით სავალდებულო საგნების სწავლება განსაზღვრულიყო ესგ-ს მუხლი 23 პუნქტი 4 და 5-ის შესაბამისად. ასევე, XII კლასის საათობრივ ბადეში შეტანილი იყო არჩევითი საგანი „მსოფლიო კულტურა“, რომელიც 2 სემესტრი ისწავლება, რაც ეწინააღმდეგებოდა ესგ-ს 54-ე მუხლის მეოთხე პუნქტს, რომლის მიხედვით არჩევითი საგანი არ ისწავლებოდა მეთორმეტე კლასის მეორე სემესტრში. რეკომენდებული იყო არჩევითი საგნის შერჩევა მომხდარიყო ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებები მოეყვანათ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში და სავალდებულო და არჩევითი საგნის სწავლებისას ეხელმძღვანელათ ესგ-ს მუხლი 23 პუნქტი 5-ის, მუხლი 54 პუნქტი 4-ის შესაბამისად.

ექსპერტმა, თამარ ჩხიკვაძემ ისაუბრა დაწესებულების მატერიალური რესურსის შესახებ. მან განაცხადა, რომ შპს ბრიტანულ ქართული აკადემია მდებარეობდა ქ. თბილისში ლეო კვაჭაძის N17-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ მისამართზე შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის საკუთრებაში იმყოფებოდა ორი მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 15 000კვ.მ რომლებზეც განთავსებული იყო ერთმანეთთან დაკავშირებული სასწავლო-ადმინისტრაციული დანიშნულების მქონე ბლოკი და სპორტული ბლოკი.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს პირველ სართულზე ფუნქციონირებდა ბაღი, რომელსაც ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დამატებით წარმოადგინა ბრძანება ფართის გამიჯვნის შესახებ. პირველივე სართულზე განთავსებული იყო ექიმის ოთახი, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია. ასევე დახურული სპორტული დარბაზი, სველი წერტილები. ვიზიტის პერიოდში დაწყებითი საფეხურის კლასები სასწავლო პროცესს ახორციელებდნენ მე-2 სართულზე. ამავე სართულზე განთავსებული იყო: მუსიკის კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით, ადმინისტრაცია, სველი წერტილები. შენობის მე-3 სართული ძირითადად გათვალისწინებული იყო საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესისთვის. ამავე სართულზე საკლასო ოთახების გარდა, განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სადიპლომო პროგრამის და საუნივერსიტეტო მრჩევლის ოთახები, სველი წერტილები. ყველა სართულზე იდგა მოსწავლეებისთვის საკანცელარიო ნივთების შესანახი კარადები. მე-4 სართულზე იყო კაფეტერია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აკადემიის ეზოში მოწყობილი იყო სარეკრეაციო, დასასვენებელი ზონა მოსწავლეებისთვის, რომელიც ასევე გამოიყენებოდა თავისუფალი გაკვეთილების ჩასატარებლად. ეზოში მოწყობილი იყო მრავალფუნქციური ღია სპორტული მოედნები. აკადემიის ტერიტორიაზე განთავსებული იყო დაცვის შენობა და სარეგისტრაციო პუნქტი. ვიზიტის პერიოდში შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში ირიცხებოდა 439 მოსწავლე. მათგან საერთაშორისო პროგრამაზე სწავლობდა 416 მოსწავლე, ქართულ პროგრამაზე კი საშუალო საფეხურზე (XI-XII კლასებში) 23 მოსწავლე. შესაბამისად აკადემიაში საერთაშორისო პროგრამაზე სწავლა ხორციელდებოდა 24 კლასში, ხოლო ქართულ პროგრამაზე - 2 კლასში.

ექსპერტის განცხადებით, აკადემიას ჰქონდა სრულფასოვანი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ნათელი და იზოლირებული, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული საკლასო ოთახებით, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიებით, ხელოვნების კაბინეტით, სპორტული დარბაზით და მრავალფუნქციური სპორტული მოედნებით, უცხოური ენების განაყოფების, სადისკუსიო სივრცისა და შეხვედრების ოთახებით, კეთილმოწყობილი სასადილოთი და რეკრეაციული ზონებით. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში სამ სართულზე 43 საკლასო ოთახი იყო. მათ შორის მესამე სართულზე, სადაც ხორციელდებოდა საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი, იყო 22 საკლასო ოთახი, ბიოლოგიის ოთახი, ისტ-ის კაბინეტი, ხელოვნების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო მრჩევლის ოთახი, ასევე მოსასვენებელი სივრცეები მოსწავლეებისათვის.

ექსპერტმა თამარ ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ სკოლაში ადამიანური რესურსის სტანდარტი სრულ შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ რას მოიაზრებდა, უფრო კონკრეტულად, რა აქტივობები ხორციელდებოდა სკოლაში არსებული ჰაუსების სისტემისა და პასტორალური ზრუნვის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ შურღაიამ განმარტა, რომ პასტორალური ზრუნვის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ჰაუსების სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ჰაუსებში გაწევრიანებული იყო ყველა საგანმანათლებლო საფეხურის მოსწავლე და ასევე, სკოლაში დასაქმებული პერსონალი. აღნიშნული, ხელს უწყობდა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და თითოეული წევრის სასკოლო საზოგადოებაში აქტიურ ჩართულობას.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, რომ სკოლის დოკუმენტაციაში არსებობდა ერთ ერთი დოკუმენტი ,,გაცდენების პოლიტიკის დოკუმენტი“ სადაც იყო გაწერილი შემაჯამებელი დავალებებისა და მათი აღდგენის შესახებ. იგი დაინტერესდა ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, თუ ნახეს სასკოლო სასწავლო გეგმა და თუ იყო მასში დაფიქსირებული შემაჯამებელი დავალებების აღდგენის მკაფიო მექანიზმები და ემთხვეოდა თუ არა გაცდენების პოლიტიკას.
აღნიშნულის პასუხად, ექსპერტმა გულნარა ხაბურზანიამ განმარტა, რომ შემაჯამებელი დავალებების აღდგენის თაობაზე რეალურად სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებობდა აღნიშნული ჩანაწერი, თუმცა არ იყო დეტალურად ჩაშლილი, რაც გაცდენების პოლიტიკის დოკუმენტში ჩანდა დეტალურად, ვიზიტის პერიოდშივე ექსპერტებმა მისცეს დაწესებულებას რჩევა, აღნიშნული აესახათ სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რაც, ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ დაუყოვნებლივ გაითვალისწინა.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე, ასევე, დაინტერესდა სკოლის პოლიტიკით, რომ პრეს-რელიზების მიწოდება ხდებოდა მოსწავლეებისთვის ყოველდღიურად და თუ ამოვიდა ფოკუს ჯგუფში აღნიშნული ინფორმაცია და ხდებოდა თუ არა რეალურად მოსწავლეებთან შეხვედრა აღნიშნულის თაობაზე ყოველდღიურად.
ექსპერტმა თამარ ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ მოსწავლეებს ხვდებოდა მენტორი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ეს ინფორმაცია დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურებისასაც.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა დაწესებულებას, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ უსაფრთხოების წესი არ იყო 2019 წლიდან აქამომდე შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2020 წლის 17 იანვარს სკოლამ გაგზავნა უსაფრთხოების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად და ამის შემდგომ მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია უსაფრთხოების წესის შეთანხმების თაობაზე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო, რომ ჰაუსის ლიდერ მოსწავლეს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოატანა მისი გუნდისთვის ქულები. იგი დაინტერესდა, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მოსწავლე ვერ შეასრულებდა ამ ვალდებულებას
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსწავლის მიმართ დაწესებულებას არ ექნებოდა არასწორი უკუკავშირი მოსწავლის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიას (ს/კ: 204497829) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და ლია გრიგოლიამ.
ექსპერტმა მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 23 და 24 იანვარს.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე, მან განაცხადა, რომ გიმნაზიას ჰყავდა 4 სსსმ და 1 შშმ მოსწავლე, გიმნაზიის პედაგოგიური გუნდი და ადმინისტრაცია წარმატებით ახორციელებდა მოსწავლეთა სწავლებას და მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში. ექსპერტის განმარტებით, გიმნაზიაში ტოლერანტული და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო იყო, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეებში ემოციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის 2022- 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა იზიარებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა კომპლექსური კონტექსტის დავალებების დანერგვისა და მათი განხორციელების პროცესი.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია, (შემდგომში-გიმნაზია), მდებარეობდა ქალაქ ლანჩხუთში, ჩხაიძის ქ. N4-ში, ფლობდა მიწის საერთო ფართს 2571.00 კვ.მ; და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს: ძირითადი შენობა - 1182 კვ.მ., სპორტდარბაზი - 398.09 კვ.მ. დასახელებული ქონების მესაკუთრე იყო საქართველოს საპატრიარქო, ხოლო მონათხოვრე (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია.

ექსპერტ მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, სკოლაში სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენებოდა 15 საკლასო ოთახი (პირველ სართულზე - 5; მეორე სართულზე - 10). გარდა ამისა, პირველ სართულზე მდებარეობდა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი და სალოცავი ოთახი (ტაძარი) ინდივიდუალური შესასვლელით ეზოს მხრიდან. მეორე სართულზე განთავსებული იყო ქიმიის ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის მერხებითა და სკამებით, ჯამში - 315 კომპლექტი, დაფებით, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით.

ექსპერტის განცხადებით, გიმნაზიაში უწყვეტად ხდებოდა ელ.ენერგიის მიწოდება, შენობაში იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, საკლასო ოთახები უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით, სკოლაში იყო 4 სველი წერტილი გოგონებისათვის და 2 სველი წერტილი ვაჟებისათვის. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული საპირფარეშოების კაბინები არ იყოს იზოლირებული კარით. ექსპერთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულის თაობაზე. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება N 9 ინდ. მეწარმე ნოდარ ორაგველიძესთან, რომლის თანახმადაც 31 იანვარს უნდა დასრულებულიყო მეტალო-პლასტმასის 6 კარის მონტაჟი საპირფარეშოებში. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ფოტომასალა, რითაც დადასტურდა აღნიშნული საპირფარეშოების კაბინებზე კარებების მონტაჟი.

ექსპერტმა განაცხადა ვიზიტის პერიოდში აღმოფხვრილი კიდევ ერთი რეკომენდაციის თაობაზე, გიმნაზიის კომპიტერულ ლაბორატორიაში იყო 8 კომპიუტერი (4 ლეპტოპი, 4 - პერსონალური) მუშა მდგომარეობაში, მუდმივად ინტერნეტთან წვდომით. ექსპერტთა რეკომენდაციით, დაწესებულებამ ლაბორატორიაში დაამატა კიდევ 2 კომპიუტერი. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლას ასევე, მიეცა რეკომენდაცია გაახლებულიყო ვებგვერდი და ატვირთულიყო სასკოლო ცხოვრების ამსახველი ახალი მასალები, რათა ვებგვერდს შეესრულებინა საკომუნიკაციო, საინფორმაციო ფუნქცია. სკოლამ გაითვალსიწინა აღნიშნული რეკომენდაცია და განაახლა სკოლის ვებგვერდი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. ვიზიტის დროს შენობის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 7 კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრს 8 კამერა. სკოლის ეზოს ერთი პერიმეტრი დარჩენილი იყო მეთვალყურეობის მიღმა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში, შპს ,,მეგაპიქსელისაგან“ შეისყიდა ერთი კამერა და წარმოიდგინა შესყიდვის დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია, ხოლო

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე უკვე სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა, რომელიც ადასტურებდა, რომ გიმნაზიაში სრულად ხორციელდებოდა შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი.
ექსპერტმა მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანების ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა დაცვის წესი და პირობების" შესაბამისად, გიმნაზიას შემუშავებული ჰქონდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი იქნა 2019 წელს გაგზავნილი შეთანხმების წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აღნიშნულ წერილზე დაწესებულებას ჰქონდა პასუხი მიღებული 2022 წლის 11 ნოემბერს, რომელიც სკოლას აძლევდა გარკვეულ რეკომენდაციებს. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით სკოლამ ახლიდან გააგზავნა შესათანხმებელი პროექტი 2022 წლის 22 ნოემბერს. ამ ვიზიტის პერიოდში საბოლოო შეთანხმების წერილი სკოლას არ ჰქონდა მიღებული. ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ განაახლა მოთხოვნა უსაფრთხოების დოკუმენტის შეთანხმების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და დასტურად, აღნიშნული წერილი წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად.
ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგები შერჩეულნი იყვნენ კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწესებულებაში დასაქმებული იყო 20 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელი. 5 მასწავლებელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება 174/ნ ბრძანების N13 მუხლის შესაბამისად. 3 პედაგოგი ასწავლიდა საღვთო სჯულს და მათათანაც, ასევე, გაფორმებული იყო 174/ნ ბრძანების N13 მუხლის შესაბამისი ხელშეკრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი აღნიშნულ ვაკანსიებზე, თუმცა რეგიონში არსებული კადრების დეფიციტის გამო, დაფიქსირდა ძალზე დაბალი მიმართვიანობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა თუ რატომ იწყებდა სკოლა სწავლას 14 სექტემბერს და იყო თუ არა აღნიშნული შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 14 სექტემბერს სწავლის დაწყება უკავშირდებოდა საეკლესიო კალენდრით ახალი დიქტიონის დასაწყისს.
საბჭოს წევრმა სკოლას მიუთითა, რომ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ვადისგან განსხვავებულ თარიღში სწავლის დაწყება აუცილებლად შეეთანხმებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე ასევე დაინტერესდა, რომ სკოლას არ ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოსგან ფართის თხოვების ხელშეკრულება განახლებული. მან მიუთითა დაწესებულებას განეახლებინა თხოვების ხელშეკრულება რომელიც, ასევე, ასახული იქნებოდა საჯარო რეესტრში. აღნიშნული გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიუთითა სკოლას, განახლებისთანავე ცენტრში გაეგზავნათ ფართის თხოვების ხელშეკრულება და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, **ა**(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიას (ს/კ: 233734082) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.
ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 25 და 26 იანვარს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მან განაცხადა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო განვითარებაზე. სკოლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ ოლიმპიადებში, კონფერენციებში, კონკურსებში, ეწყობოდა შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, ექსკურსია, ლაშქრობები. სკოლაში ტარდებოდა საგნობრივი კვირეულები, შიდა სასკოლო კონფერენციები, პროექტები, ინტელექტუალური თამაშები, გასვლითი ღონისძიებები, ლიტერატურული საღამოები.

ექსპერტის განცხადებით, შპს კოლეჯ და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს, თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი ჰქონდა 2022 წლის 7 სექტემბერს სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ განხილული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფს, სკოლაში ვიზიტისას, ექსპერტებს წარედგინა გეგმა, რომელშიც შესული იყო ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან, სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო გეგმის შექმნისას, სკოლის გუნდს ერთობლივად ემუშავა, რათა თავიდან აერიდებინათ ის ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რომლებიც გადმოგზავნილ დოკუმენტში ფიგურირებდა (I-XII კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა 45 წუთი, მაშინ როდესაც დღის რეჟიმის მიხედვით, I კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთი იყო; სასკოლო კალენდარში, დასახელებაში 2019-2020 სასწავლო წელი იყო მითითებული, მაშინ როდესაც, სასწავლო წლის დაწყება - დასრულება 2022-2023 სასწავლო წლის შესაბამისი იყო 15.09.22 და 15.06.23 და ა.შ. სკოლა XII კლასში მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ პროგრამას, დამატებით საათებს. აღნიშნული საათობრივ ბადეში გაწერილი იყო აბიტურის საათად, ჩანაწერი შესაძლებელი იყო შეცვლილიყო და მას მისცემოდა დამატებითი სავალდებულო საგნის დატვირთვა).

ექსპერტის განცხადებით, სსგ სტრუქტურით ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისი იყო, შემუშავებული იყო სკოლის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა სავადლებულო საგანი ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას მისიიდან და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე დამატებული ჰქონდა კვირეული საათობრივი დატვირთვა გარკვეულ საგნებში.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მასწავლებლების ინდივიდუალურ პორტფოლიოებს, რომელთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ თითოეული მასწავლებელი გეგმავდა შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებას და შერეული ტიპის ტესტურ დავალებებს, დავალების შესრულების შემდეგ აანალიზებდა შემაჯამებელი დავალების შედეგებს. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ზოგადი ხასიათისა იყო. ზოგადად იყო აღწერილი რა უჭირდა კლასს, გაუმჯობესების გზებიც, ასევე, იყო ზოგადი. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა: გაუმჯობესების გზები გაეხადათ მეტად კონკრეტული, ანუ აეხსნათ თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაედგათ პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგალითად რა ტიპის დავალებები ან სამუშაოები უნდა შეეთავაზებინათ მოსწავლეებისთვის.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო, ხარისხის ჯგუფის მუშაობას, გაკვეთილზე დაკვირვების სქემებსა და დაკვირვების შედეგებს. მან აღნიშნა, რომ ხარისხის ჯგუფი რეგულარულად ესწრებოდა და აკვირდებოდა გაკვეთილებს, შემდეგ აფასებდა მას და გამოკვეთდა რეკომენდაციებსა და საჭიროებებს. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა: სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ეწარმოებინა არა მხოლოდ გაკვეთილზე დაკვირვება, არამედ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საუბრები, დისკუსიები: მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან. შემდეგ გაეანალიზებინა ამ შეხვედრებისა თუ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია და

გამოეყენებინა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაფასებლად. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შემდეგ, დაესახა მისი გაუმჯობესების გზები და საჭიროების შემთხვევაში აესახა ის სკოლის სამოქმედო გეგმაში.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, თემქის დას. III-მ/რ, V კვარტ. რომელაშვილის ქ. N21, რომელიც განთავსებული იყო 1131.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არსებულ 2 სართულიან შენობა-ნაგებობაში საერთო ფართით 865.8 კვ.მ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა შენობას ფლობდა ქირავნობის ხელშეკრულებით 2030 წლის 1-სექტემბრამდე.

ექსპერტის განცხადებით, შენობაში იყო 14 საკლასო ოთახი, რომლებშიც განთავსებული იყო 189 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ყველა საკლასო ოთახში იდგა მასწავლებლის მაგიდა და სკამი, ეკიდა თაროები, გამოფენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, პოსტერები და სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინეობები, პლაკატები. შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას შესყიდული ჰქონდა 250 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის პირველ სართულზე (40კვ. მ) მდებარეობდა სპორტული დარბაზი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის და გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისთვის, რომელშიც განთავსებული იყო პატარა ზომის კალათბურთის ფარები. სკოლას შეძენილი ჰქონდა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ბურთები, ჩოგბურთის მაგიდა და შესაბამისი ჩოგნები. ეზოში მდებარეობდა სპორტული ღია მოედანი, რომელზეც განთავსებული იყო ფეხბურთის 2 კარი და ფრენბურთის ბადე. სპორტულ მოედანს არ ჰქონდა რბილი საფარი, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მიერ მიეცათ შესაბამისი რჩევა, თუმცა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის 6 წლიანი გეგმის თანახმად, 2023 წლის ბოლომდე იგეგმებოდა სპორტულ მოედნის მოწყობა.

ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტი იყო, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობებით. კაბინეტში იდგა კარადა, რომელშიც ინახებოდა სინჯარები და სახარჯი მასალა, განთავსებული იყო 15 მაგიდა და სკამი, ასევე ერთი დიდი გრძელი მაგიდა ცდების ჩასატარებლად, რომელსაც არ ჰქონდა დამცავი ზედაპირი და რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა. ოთახში დამონტაჟებული იყო ონკანი და ძლიერი გამწოვი. შემუშავებული და კაბინეტში გამოკრული იყო ლაბორატორიის გამოყენების წესი.

ექსპერტმა განმარტა, რომ შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო, შესაბამის ადგილზე გამოკრული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას ჰქონდა 2 სათადარიგო გასასვლელი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამებოდა 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი რომელიც გამომდინარეობდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნებიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად, შესაბამისი წერილი, შუამდგომლობისთვის გაგზავნილი იყო ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რესურს ცენტრში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფდა შიდა 8 და გარე პერიმეტრის 4 კამერა, რომლებიც შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგს აწარმოებდა სკოლის მნე.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ექვსწლიანი (2022-2028წწ.) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2022-2023 წწ). ორივე გეგმა დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ. ექვსწლიანი გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და მოიცავდა გრძელვადიან მიზნებს: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; ჯანსაღი, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 41 თანამშრომელი, მათ შორის 6 აღმზრდელი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, საქმის მწარმოებელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ბუღალტერი, მზარეული, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, მეეზოვე, სკოლის ექიმი, ორგანიზატორი და 24 მასწავლებელი. წარმოდგენილი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობები რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ისინი არ იყვნენ ნასამართლევი და არ ჰქონდათ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდებოდა სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილი იყო მასწავლებელთა შერჩევის წესი, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდებოდა შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებდა სკოლაში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი. სკოლას, ასევე, ჰყავდა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის განცხადებით სკოლაში დასაქმებული ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებასთან სკოლას ჯერ-ჯერობით არ ჰქონია გამოცდილება. გარდა ამისა, ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების მიზნით საჭიროებდნენ სხვადასხვა ტრენინგებს. ამ მიმართულებით სკოლას მიეცა რჩევა: მოეძიებინათ არსებული საინტერესო და საჭიროებას მორგებული გადასამზადებელი ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით: მასწავლებლებისთვის, საქმისმწარმოებელისთვის, ბიბლიოთეკარისთვის, ადმინისტრაციისთვის და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა განმარტა, რომ საპირფარეშოებს შორის ტიხრები იყო დაბალი და შესაძლებელი იყო მოსწავლეთა მხრიდან მეორე კაბინაში გადახედვა ან ფოტო კამერით სურათის გადაღება, რის შედეგადაც შესაძლებელი იყო გამხდარიყო მოსწავლე კიბერბულინგის მსხვერპლი. ის, ასევე, დაინტერესდა სპორტის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე თუ სად ტარდებოდა აღნიშნული გაკვეთილები ავდარში.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სველი წერტილების ტიხრების თაობაზე სკოლას ექსპერტთა მხრიდანაც, ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულის თაობაზე.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ სპორტის გაკვეთილები უამინდობის შემთხვევაში ტარდებოდა შიდა მცირე დარბაზში.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა თუ რატომ შეიცავდა სკოლის სახელწოდება სიტყვა ,,კოლეჯს" რომელიც ასოცირდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა თუ მოახერხებდა მატერიალური რესურსის გაფართოებას, გეგმავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასაც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰქონოდა შეცდომაში შემყვანი სახელწოდება და სახელის შეცვლაზე ეზრუნა მას შემდგომ, რაც დაიმატებდა პროფესიულ საფეხურს.
ასევე, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, რომ სკოლას გაცხადებული ჰქონდა, რომ II-XII კლასებში სკოლას მითითებული ჰქონდა, მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვა ხდებოდა ტესტირების საფუძველზე. ის დაინტერესდა თუ რა ტიპის განმსაზღვრელი შეფასება უნდა მიეღო მაგალითად მეორე კლასის მოსწავლეს, რომ შესძლებოდა სკოლაში ჩარიცხვა.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ტესტირება ითვალისწინებდა ბავშვის უნარების შემოწმებას, თუ როგორი ინდივიდუალური მიდგომა უნდა შეემუშავებინა მასწავლებელს კონკრეტულ ბავშვთან სწავლებისა და მოსწავლის კლასში ადაპტაციის პროცესში და აღნიშნული ტესტირება არ ხდებოდა მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიუთითა სკოლას, რომ უკეთესი იქნებოდა, სასკოლო დოკუმენტაციაში გადმოცემული შინაარსი შესაბამისობაში მოეყვანათ რეალობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 210 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა"

ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს კოლეჯ და სკოლა-ლიცეუმი ფესვებს (ს/კ: 206262088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა